საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 153/01
08/01/2021

153-01-2-202101080924

**შპს „კერამიკა ელ ტორენტე+“-ს**
**მის:** თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., N49ა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 22 დეკემბრის N20208 წერილი, რომელიც ეხება კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეტეხის მიმდებარედ აგურის საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

როგორც სამინისტროს 2020 წლის 25 ნოემბრის N11078/01 წერილით გეცნობათ, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში არ იყო მოცემული და დაზუსტებას საჭიროებდა საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, რაც წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში კვლავ არ არის მოცემული:

- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოო წყალმომარაგება გათვალისწინებულია მდ. მტკვრიდან, ხოლო საწარმოო მიზნებისთვის ყოველდღიურად საჭირო იქნება დაახლოებით 18-20 ტ წყალი. ამასთან, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია 50 ტონა მოცულობის წყლის რეზერვუარის განთავსება. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მდ. მტკვრიდან აღებული წყლის რაოდენობა და სიხშირე, ასევე რეზერვუარის შევსების გრაფიკი;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ აღნიშნულია, რომ მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე დაბინძურებული ან დაუბინძურებელი წყლის ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვება არ მოხდება. ამასთან, მითითებულია, რომ აიკრძალება ნებისმიერი სახის გაუწმენდავი ჩამდინარე წყლების მდინარეებში ჩაშვება. იმ შემთხვევაში, თუ პროექტით გათვალისწინებულია გაწმენდილი წყლის მდინარეში ჩაშვება, გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატებს, ასევე გამწმენდი ნაგებობის შესახებ ინფორმაციას (GPS კოორდინატები). შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს რა სახის ჩამდინარე წყლების წარმოქმნაა მოსალოდნელი მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე და მდინარეში წყლის ჩაშვების საკითხი;

- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე დაგეგმილია დროებითი დრენაჟების და სანიაღვრე წყალარინების სისტემების მოწყობა, ამასთან ექსპლუატაციის ეტაპზე შემარბილებელ ღონისძიებებში მითითებულია, რომ საწარმოს ტერიტორიაზე მოეწყობა სათანადო სადრენაჟე სისტემები და უზრუნველყოფილი იქნება მათი გამართული ფუნქციონირება. დაზუსტებას საჭიროებს როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე სანიაღვრე წყლების მართვის საკითხი, სადრენაჟე სისტემის მოწყობის გათვალისწინებით (წყალარინების სისტემ(ებ)ის მოწყობის საკითხი, სანიაღვრე წყლების საბოლოო წყალჩაშვების საკითხი, წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატის მითითებით);
- თავში 4.10.4 მოცემულია ინფორმაცია, რომ ტექნიკური წყლის ობიექტზე შემოტანა მოხდება ავტოცისტერნებით და სახანძრო მანქანებით, შესაბამისი ნებართვის მქონე სამსახურთან ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთან, საწარმოო წყლის აღება დაგეგმილია მდინარე მტკვრიდან. დაზუსტებას საჭიროებს 4.10.4 თავში აღნიშნული ტექნიკური წყლის დანიშნულება (რისთვისაა გათვალისწინებული მშენებლობისა თუ ექსპლუატაციის ეტაპზე მისი გამოყენება) და საიდან იგეგმება აღნიშნული წყლის შემოტანა;
- ამასთან, გზშ-ის ანგარიშში ნათლად უნდა იყოს მოცემული წყალმომარაგებისა და წყლის მართვის საკითხები მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებისათვის;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე დასაქმდება 35 ადამიანი (თავი 13. დასკვნები), ხოლო 4.10.4 თავში მითითებულია, რომ დასაქმებულთა მაქსიმალური რაოდენობა იქნება 20 ადამიანი. ამასთან, სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის ხარჯი დაანგარიშებულია 20 ადამიანის მიხედვით. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, ასევე სასმელ-სამეურნეო წყლის ხარჯი და სამუშაო რეჟიმი ორივე ეტაპისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „კერამიკა ელ ტორენტე+“ უზრუნველყოფს განახლებული/სრულყოფილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენას ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე